

საქართველოს კანონი

”განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ”განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, 22.12.2003. მუხ.239) მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”1. განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების უსაფრთხოების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, საქართველოს დაზვერვის სამსახური და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი